

# მამტრი

## ცხოვრისა

დოკუმენტ სალიციურაციურო ქურნალი

№ 2 - 1916

ვაბათი. 9 იანვარი.

ი. ამავე ნომერში ს. მა-  
ლობლი შეიძის



ნინო ნაჯაშვილი  
„ნაკადული“-ს რედაქტორი



ვ. ი. დემურია († 1910 წ. იანვარში)

ქართველ მწერალ-მოდერნი  
თა წერილი “



თავ პ. ი. თუმანიშვილი  
„ნაკადული“-ს გამომცემელი

# 1916 მისამართის ხელის მონიშვნა 1916

უოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივი შინაგანი სურათებისა და უცნალის იუმონისტული განყოფილებით, შარევბით და კარიკატურებით

თეატრი და ცეკვები

ვაოთხე

ვაოთხე გამოსახულისა მიმართულებისა

ვლიულის

ა მა.

ნახ. წლ.

3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმწვევებით და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უცნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა  
უცნალში სურათები სურათები და იმპეჭდება

**ფასი:** წლიურად ისევ 5 გ., ნახევ. წლით — 3 გ. ფეხის შემოტანა ნაშილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 გ. მაისში — 2 გ. ენკენისთვეს 1 გ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნორებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტანდაში (მაღათვების კუნძ. № 1, ვორობოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთა დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: თიფლის, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ — იოს. იმედაშვილი. ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

## სახალხო სახლი

თბილისი, 13 ინვანს ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ  
წარმოდგენილი იქნება

## იუდის მემკვიდრე

ღრ. 5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისი

მონაცილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თომიძე ნ., ქიქოვა ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნი: აბაშიძე ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმენელი გ., მამიარია ი., მგალობლიშვილი დ., კუკიძე ი. ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

და აწყისი საღამოს 8 საათზე.

რეკისთარი ანდრონიკაშვილი

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი  
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 გ. 15 კ.-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტიანობისთვეს.

**განათლება** სამეცნიერო-საზოგადო განათლებისა და სადაცერენტურო უცნალი (წელი 1916 შეცხენება).

წლიურად უცნალი 5 გ. ტეატრის შეცხილა მთ-4 გ.  
ბ-გ ზაფხით კლინიკა საფულის სკოლის მასწავლებელებს,  
სასალხო სამკითხევების, საშედეგო სკოლის  
მასწავებელებს, სტუდენტებს, მუ-  
შეცნალი და მომთხოვთ შეცნალი 3 გ. 50 კ.

ცალკე ნომერი უცნალისა ედინება 50 კ.:  
რედაქციის სიხაზე ხელის მოწერულებს დროშე  
დაკვეთონ უცნალი. მისამართი: თიფლის,  
დაორიანოვანი გრუზინ. რიმაზია ლ. ბ. ბო-  
დადვ. 1233 რადა-გამომც. ლ. ა. 2 კ. დაბადვ.

„განათლება“ უცნალი-განეთების  
განცხადა

ქ. თბილისში ღლდას ქუჩა № 6.

მიმდევად აგენტებს: „თეატრი და ცხოვრება“, „თანა“, „გე. მაირაზია“, „საქართველო“, „თიფლის ლისტოკი“, „Русское Слово“, „ჭრიაზონი“, კვდის კადენდება და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული და წერილები უნდა გამოიგენებოს შემდეგი ადგილით: თიფლის, პირველი ფასი № 96, ც. თავართკილადze.

## თანამედროვე პრის

გაზეთი ღის როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევა რი წლით 4 მან. 50 კ. გროვი თვით 90 კ. გაზეთის ფასისების მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. ნინიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მოწერულება ფული უნდა შემდეგი ადგენერაციაში უნდა გამოიგენება: **თიფლის, პირ-**  
**ვას. № 199 ვლასი მალაკიევიჩ ბოხოხაძე.**  
თფილის ხელის მომწერულება ქანტონობ კანტონობ „განათლებაში“ ოლგის ქუჩა № 6 მომავალ წლის მოწერულებს ქანტონობ უმორჩილენი და სთხოვს ფული 20 და ემბრამდე შემოიტანობ.

## ვორობაში ი. ა. სოლოუასი

(ვორობის ქ. და ფირილის ქ. № 13)

იდებს ეფექტურა ზომის სურათებს ხელის წვდების ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შენ გვეთ საქმეს ასრულების დანიშნულ გადაზი.



№ 2

წლიურად 5 მ., ნახვაზ წლით 3 მ.; ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: თეატრი „Театри да Чховреба“ I. Имени дашвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ ღაიძეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ ზეს-შორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება ზეიძლება „სორაპანის“ სტამბის განტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 2

შაბათი, 9 იანვარი

1916 წ.

### 9 იანვარი

„კირიმე ერთის პირნის კინკლაობა რისა და მრავალი ხელი-და მცონარეობა საო!“ იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი, რადგან გამოცდილებით იცის, ერთ პირზე მდგომთა მრავალი ხელი რა ნაყოფიერად მუშაობს, ხოლო კინკლაობა, ურთიერთისგან განდგომილება როგორ ჰყარავს...

და როდის უფრო გვეპირვებოდა ამ ურთ პირზე მდგარი მრავალი ხელის შეთანხმებული მუშაობა თუ ახლა არა?..

ჩვენს დაბ-სოფელს ჯერ კიდევ ბევრი კულტურული დაწესებულება აკლია,—საღმე თუ სკოლა, წიგნთსაცავი ანუ თეატრია,—მხოლოდ სახელით, ოხელე—წარჩინებულთა სინაბარაა მიტვებული, ანუ განმარტოვებული ჯგუფი მესვეურობს... ოფიციალური მოწინავენი-კი: მღვდელი, მასწავლებელი, მწერელი და არა ოფიციალური—სოფლის შეგნებული პირი, იშვიათად რომ ერთმანეთს მიუდგნენ; უველა ცალცალკე თავისთვის მართალია, უცოდველი, და ერთი მეორის კინკლაობაში ჰქონდენ დღეთა თვისთა...

ამ წლიდან კიდევ სოფლის მოხელეთა არჩევნები იწყება ახალი წესით; ბედის სინაბარა თუ მივაგდეთ საქმე, შესაძლოა ისეთი სოფლის მამანი ჩაგვიყენონ, რომ... ბოლოს თოთზე ქცენამ აღარა გვიშველოს-რა...

ეს გარემოებანი გალად რაცხს ჩვენი დაბა-სოფლის მოწინავე—შეგნებულ პირთ, მცონარეობაზე ხელი აიღონ, ურთიერთშორის კინკლაობას დაეხსნენ და შეთანხმებით იმუშაონ ჩვენის ხალხის კულტურულ-ეკონომიურ წინასწლის საქმეში...

შორს კინკლაობა და მცონარეობა—ერთი პირი და მრავალი ხელი, —ი რას უნდა ვესწრაფოდეთ!..

### როდემდის?

ქვეყანა ინგრეოდა. დედამიწას ზანზარი გამჭვინდა. ცის გუმბათი გახსნილიყო, სამაგლოვიაროდ მორთულ შავ ტახტზე მორქმით იჯდა მოხუცი ვინმე, თეთრი სპეტაკი წვერი მისი დაენამა ცრემლს. შორს საქვერეტი მანქანა ეპყრა ხელში და ჩასკეროდა დაუსრულებელ დალმართს, საცა ჯოჯოხეთი გამეფებულიყო.

— და ეს არის, და ეს არის? ეს არის სრულქმნა? რათ, რათ მინდოდა ადამის შვილი? როდემდის, როდემდის ასე?—ეკითხება თავის თავს მოხუცი.

დედამიწა გასწორდა წელში, რაკი კაცი შეჩერდა და გამალებით აღარ დარბოდა მისს ზურგზე. გაბოროტებული ადამიანი ერთს წუთს დამორჩილდა წუთს დიადს, დიდი პირის დაბადებისას. იქსოს შობის წამებმა ჩანელა აბობოქებული ზღვა და მიაქცია თავის კალაპოტში.

— ტუ, ტუ, ტუ, ტუ... გა ისმა ყოველ მხრიც, ყოველმა მხარემ აღმართა თეთრი ბარალი და იწყო დღესასწაულის შეხვედრა.

აქი-იქ გაჩაღდა ცეცხლები და ზედ შემოდგმულ ქვაბებს შემოეხვივნენ...

”ქრისტე იშვა“, ღალად ჰყო ხალხმა, ღალად ჰყო მწედრობამ, და მის ნიავმა შორს გადიტანა წმინდა მწერესთა საგალობელი. კლდის წვერზე წმოსკუპულ ეშმაქს ყურს ჩასწედა გალობა იგი და გაეცინა, ხარხარი მისი მოეფინა მთელ მიდამოს.

სიბნელეში ვიღამაც გადაფურთხა.

— წყელმიც იყოს შენი ხარხარი. — და-წყელა და ჯვარი გამოსახა არე-მარეს. ეშ-მაქს ცხვირს დაცუმინა.

— ვიღამაც დამსწყევლა შეჩვენებულმა, წაფიდე, თორებ სურდო შემეყრება ამ სახედ-რეთში. კიდევ დაცუმინა ცხვირს, კუდი აი-ბზიქა, ჯოხს გადაჯდა, გაღიჯირითა მკვდარ-თა გვამებზე და კლდე-ლრეში ჩაეშვა.

### III

— იოანე დაიცა ცოტა, ფეხებში მებლან-დება რაღაცები, მკვდრები უნდა იყენენ. შე-ჩერდა, სიბნელეში ხელით იწყო ფათური. წინ მიმავალიც შესდგა.

— სანათი ხომ გაქვს?

— მაქვს.

გათავა, მიუახლოვდა...

— საბრძოლონი, მიწას მაინც მივაბაროთ ითანე... — უთხრა თანამგზავრს. ფერ-მკრთალ სახეზე მზრდნელობა და გულის ტკივილი გამოესახა... დასწედა მეორე მიცვალებულს, გიშრის კულულები წინ წამოეშალა და მოე-სვარა ახლად განელებულ სისხლში.

— ცოტა კიდევ წავიაროთ, იქნებ ცო-ცხლებს შექვედეთ...

— ვინა ხართ ქრისტიანი, ვკვდები... — მოისმა მომაკვდავის ხმა...

— ჩვენა ვართ, — გაეხმაურა ლმობიერის ხშით.

— წყალი, წყალი, ღვთის გულისთვის...

— მეც მიშველეთ, ნუ დამტოვებო, მი-ვმიდლეთ ლმერთს, სასიკვდილო არა მიშვესრა...

— ვაი ჩემს დღეს... ლმერთო, ლმერთო! სად არის შენი სამართალი! — მოისმის ქვითი-ნი ფეხებ-გაღამტვრეულ ვაჟკაცის, ზოგს ხე-ლი მოსწყვეტია, ზოგსაც ტვინი გაღმონთხვევია.

— ნუ გეშინიანთ, ყველას გიშველით, აი იქეთ კარვები აქვთ გამართული თქვენს ამ-ხანაგებს.

— გვიშველეთ ქრისტეს გულისთვის...

— ამიწი, იოანე, ამას მე ავიყვან, ეს შენ აიყვანე, ჩემზე ვაჟკაცი ხარ. გადავიყვან ნოთ აქვე.

ასწიეს მძიმე ტვირთი და დაუსვენებლა მივიღნენ კარვებთან.

— ახალგაზდებო, რა დროს ქეიფი და სიმღერაა?! იცით რავდენი ჰგმინავს და ჰკვენ-სის უბატრონოდ შთენილი ველად თქვენი ამხანაგი... წამოიშალეთ, მისხედეთ...

და დასვენა სულთმობრძავი მიწაზე.

— ერიპაა... ესენი ვიღა არიან?

— საიდან მოეხიდენ ნეტაი?

— არა ძმალ, ლმერთმა ქრისტეს შობა გა-მითენა, ვენაცვალე მის დაბადებას, ცოცხალი ვარ, ერთს წუთს ვისვენებ და აქ ესენი არ მასვენებენ...

— ქრისტიანი ხალხია, თქვენი ძმები, — სთქვა ყრულ უცნობმა...

— წადით აქედან, წაეხირენით... იძღვი იკვნესონ მანამ ქრისტე არ აკრიფოს თავის ხელით...

— „ჰგმინავენ!“ მე კი ერთ სათ შემდეგ არ გავგორდები ვით ჭარხალი აი, მე ვიცი...

— საცოდავებო, საცოდავებო... — აუ-მალლა ხმას, თვალებმა ცეცხლის ნაპერწკლები დაუკვესეს: „როგორ შემიყვარებთ მე, რო-დესაც არ გიყვაროთ თავი თვისი“...

— მოშორდი აქედან! — წაიწია ვიღა უდიერმა და მუშტი მიუტანა ცხვირთან... მე-ორე სამოსელს წაეტანა...

— დალუპვის ლირსია ქვეყანა ესე... წა-ვიდეთ! — სთქვა მან... და დაიხია... იოანე ასე იყო მაშინაც, მცემდენ... მას შემდეგ მლოცვილობენ და დღესაც მცემენ... უბედუ-რი ვარ, უბედური, მეგობარი... ვერ დავამ კვიდრე სიყვარული კაცთა შორის...

ცხარე მდუღარება გაღმოაბნიეს მისმა თვალებმა და მეგობრის მძლავრ მკერდს მია-ყრდნო თავი...

— დამშვიდი, ჩემო იიშუ!.. ბოლო ექ-ნება სიძულვილსაც... ახლა წაგიდეთ...

და მიიმალნენ ლამის სიბნელეში.

მარიამ გარიყული



მსახიობი ნ. გვარაძე

18 იანვარს ქუთაისის თეატრში თავის საბენეფისოდ  
სდგავს ახალ პიესას „ბედის ორიალი“-ს.

## ქართველ მწერალ- მოღვაწეთა წერილები\*)

შარიამ ივანეს ასული დემურია

(მოგონ ებანი)

შარიამ დემურია ქ. გრიშამა დაბადებული და  
დზლილი. შემა მისი ივანე ივანიაშვილი გრიშა-  
მაშვილი სამართველოში მსახურებდა; ძალიან  
მისდევდა ქართველ მწიგნიბრძას; გვირა-უქმე  
დე გრიშამ მიძინების ტაძარში (სობორიში)  
შედამ ივანე ივანიაშვილი, შემა მარიამისა, გოთ-  
სელიდა ხოლმე საღმრთო წიგნებსა და, ძალიან  
გარგვევით, დაბრკოლებულად და სასამართლოდ  
კოთხულიდა. დედა მარიამისა იუთ აზნაურ  
კორინთლის ქალი სოფ. საკრინთლიდან. შარია-  
მა შემთხვევარდა ცნობილ ელიზბარ ერისთა-  
ვის სახლში, მისს ქალიშვალებთან. ერთი მათ-  
ვინი ნინო ელიზბარის ასული ქაბუჭიშვილის  
ცნობილია ჩენები, როგორც კარგი ქართველი  
დედა, ქელმოქმედი და „ნაგადულის“ ერთი დამ-  
უკმებელთაგანი. თავადი ელიზბარ ერისთავი  
ცნობილი იყო გრიშამის განვითარებით, ქართუ-  
ლის ცოდნით, იგი ერთი ოცდასათ წლიან მეამ-  
ონებთაგანი იყო. მისს თვასში უველავ შევენი-  
რად იცდა ქართული და უველავ ქელი ქართუ-  
ლი წიგნები იყო ამ თვასში. ამ თვასში იზ-  
დებდა მარიამი. შეილებში არ ასტეგდნენ ელიზ-

ბარი და მისი ქნეინა ქეთევანი. ბრუნის ელიზ-  
ბარის ქალები გათხოვდნენ და მარიამი იმულე-  
ბული გახდა ამ თვასს ჩამოსთხოვებოდა. ამ დროს  
მარიამ მოუკედა, დარჩა ბებერი ბებიის სინაპარად,  
რომელსაც არავითარიმე შრომა არ შეეძლო. მა-  
რიამი იმ დროს გროველ ახალგაზღდისასთან და-  
შორებული იყო. არავინ არ იცნობდა დაახლოე-  
ბით. სილამაზის ხმა ჰქონდა დავარდნილი და  
მხოლოდ ამით იცნობდნენ. ერთითაგის თვასი-  
დან გამოსვლის შემდეგ მარიამს ძალიან გასაჭი-  
რი დრო დაუდგა; არწყელ შეა იყო: ან უნდა  
მისცემიყო ამათ ცხოვრებას და ან უნდა დაღუ-  
შებულიყო ცხოვრებას ჭუჭვიან მორევში. ამ გა-  
გირვების დროს მარიამი შეივრდომა მათე კე-  
რესელიძის თვასში და გაუწია ნამდვილი მამობა  
და ჰატრინობა. კერესელიძის ცოლმა მარიამისა  
(მარიამ მარიამ ერქვა) ნამდვილი დღია გაუწია. ამ  
თვასში ხშირად იყრიბებოდა გრიშამ ახალგაზ-  
დისა; იმართებოდა ბასი თანამედროვე საჭირ-  
ბოროტო საკითხებზე; კითხულიდნენ სხვა და  
სხვა წიგნებსა. თვით მათე კერესელიძე დიდი  
განვითარებული კაცი იყო, ჰქონდა ძეგირუასი  
წიგნთსაცავი ქართულისა და რუსულის ლიტერა-  
ტურისა. ამ ამ წეს გაეცნო ახალგაზღდა მარიამი  
იყინაშვილისა, ამ წევმ ერჩია, რაიმე სპეცია-  
ლური სწავლა მიეღო. შეუგროვეს წარმოდგენის  
საშუალებით ფული და გაგზავნეს ტფილის სა-  
ბერი ინსტიტუტში. დამთავრა აქ კურსი და  
ბებიობდა სხვა და სხვა ალაგას; ღზურგვეთში,  
სახელერეში და სხვ. ამ დროს გაიცნო და შეია-  
თ გასილ დემურია, რომელიც გამომძიებლად  
იყო და ბოლოს ბაქაში მსახურობდა. ქმარი მა-  
ლე გარდა უციალა და დარჩა თრიან ჰავი-  
შვილი. მარიამ დემურია ქრისტის სიგვალის შემ-  
დებ დასახლდა ტფილისში და მხერვალე მონა-  
წილებისა ღდებდა ქართულ საქმეებში. გასამცა-  
რი ენერგიის ჰატრინი იყო. რაკი ერთხელ ამთ-  
ობებიდა რომელიმე საქმის შესრულებას მიზანში,  
უფლება შეუძლებელი იყო, არ შეესრულებინა.

დიალ, ცხოვრებაში გამჭვიდა თუ არა, მიეცა  
ქართველ საზოგადო საქმეებში მოღვაწეობას. უფრო დიდი ასპარეზი გამოუწენდა აქ, ტფილის-  
ში. ვის არ ასეთებს მისი მოღვაწეობა აყვალის  
სახლში სახლის აუდიტორიაში. თვით ბირადად  
მიღობდა უველასთან, ეხევწებოდა, ემუშავნოთ ამ

\*) რამდენიმე მწერალ-მოღვაწეზე წერილები და  
მოგონებანი ჩემი დაიბეჭდა 1914—15 წწ. „თეატრისა და  
ცხოვრებაში“. ეს მათი გაგერებაშა.

აუდიტორიაში, რომელისათვისაც დღე და დამეს ასწორებდა; არც ჭამა იყო მისთვის, არც სმა, არც სახლი და შაწია შეიცემა. მისი გენერალური აუდიტორია იყო. იმ ღრცეს, მარიამის თხავინთ, მეც გმების გადასაცემი აკტების სახალხო თეატრში. მართლაც მისმა მუქათმა, ძლიერმა ენერგიამ, მისმა ძლიერმა სიუფარულმა ფეხზე დაუეცნა აკტების აუდიტორია. უკეთა მაშინდელ ას ლგაზედას, გისაც კი ას შეეძლო, — უკეთა თავი-თავს მოუკუნა და ამჟამად.

მე შემონა ზოგიერთი მისი წერილი, რომელიც ამტკიცებს, როგორის სიუფარულით ეპურობოდა დაწერილის საქმეებსა.

მომენტის ის წერილები, რომელიც ჩემზე მჭერიშეტეველურად ილაპარაკებენ მარიამ დემურიას სულის ძალაზე:

„ქირიდასო მმაო სოფრომ!

ორშაბათს, 9 საათზედ, ჩემთან გთხოვთ რომ შეიყაროთ, რადგანაც სამშაბათს (მართლწერას მარიამისას ვიცავ) კომისიის უნდა კიდევ წარულებინოთ სექციის წევრები. უსათუოდ მობძანდით, თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ. საბავშო ჩემი პიესაც მიბოდეთ, რაკი თელავში თხოულობდენ.

სრულ ცხრა საათზედ გთხოვთ მობრძანდეთ რაკი წინეთ შინ არ ვიქნები.

თქვენი ერთგული მ. დემურია.

1901 წ. 13 მაისი.“

შემდეგ მარიამი თავისებურად მედგრად შეუდგა საემაწვერო შენისალის დასრულებას. კარიკატურის დადიოდა ქართველ მწერლებთან, კალთებს აგლეჭდა და მიტევავდა კრებებზე მთხველაპარაკებულად. იმოგა საშუალებაც. კნ. ნინო ელიზარის ასულმა ქობულიშვილისამ გამომცემლობა ივისრა, დავით ერისთავის ქალიშვილმა რედაქტორობა იკისრა. კნ. ნინო ქობულიშვილის სახლში იმართებოდა კრებები უფრო ხშირად აკაკის თავმჯდომარეობით. იმართებოდა კრებები ნინო ნაკთლიზის ასულ ზურაბიშვილისასაც (ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილთან). უნდა მოგახსენოთ, მთხვეწება არა გრექონდა მარიამისაგან, მინამ არ დაასრა უკრნალი, რომელსაც კრებამ სახელად „ნაკადული“ უწოდა.

მომენტის მისი წერილები შენისალის შესახებ:

„დოდად პატივცემულო მმაო სოფრომ!

დღეს პარასკევს ნინუსისთან (ნიკოლაძის ქალიშვილი) არის კრება რვა საათზე საღამოსი უსათუოდ მობრძანდით.“

— მწერდა სახეობიდ სადარბაზი ბარათზეს, აუსრულდა სურვილი, დაარსდა „ნაკადული“, რომელის რედაქტორად ბიჭის თვით მარიამი იყო. უზრუნველ ჰეთ რედაქტორი მით, რომ გამომცემლად იშვება ცნობილი ქედემოქმედი პ. ა. თუმანიშვილი, რომელიც დღევანდლაში დე „ნაკადულის“ გამომცემელია.

ახლა მარიამს საზოგადო გაყინვდა თანამშრომელების მომზადება. გიოგვეთავადა უკეთა და თუ დანიშნულს გადაზე არ მივიტანდით, თავისი მიგრაცია გადაგლებდა, ძალათი გაფერინებდა:

„მმაო სოფრომ!

გიგზავნი მასალას, თითონ მე შევედი წერა-კიოხვის საზოგადოებაში და გამოვართვი „თეატრი“ რომ გამოდიოდა იმაშიაც ყოფილა მოკლე ბიოგრაფია. თუ წიკითხამთ კარგი იქნება (აკაცის მოკლე ბიოგრაფია შემომიკვეთა „ნაკადულისათვის“), თუ არა და ისე თქვენ კარგად დასწერთ, თქვენი ჭირიმეთ, თუ ჩემი დამობა გწამო სამშაბათისათვის მოგვისწარით. გენაცა გეველრებით.“

„მე აქ გიცდით (რედაქტორის მიცდიდა) და მაცნობეთ, თქვენი ჭირიმეთ, მზათა გაქვთ თუ არა „აკაცის ბიოგრაფია“. ამ ბიქსვე ახლავ პასუხი უბოძეთ.“

მაპატიეთ, რომ ამდენს გაწუხებთ, მაგრამ სურათები თუ ადრე არ გაკეთდა დაგვიანდება. თქვენი მოთხოვობა ამ თვეში არ იქნება, იმიტომ რომ დაგვანებული იყო იანერისათვის, ეხლა მარტში, თუ ამ საღამოს ან ხვალ არ გამოვიგზავნით უსათუოდ დაიგვიანებს ნომერი. სურათებისთვის საჭიროა. მაპატიეთ, მმაო სოფრომ, რომ ასე გაწუხებთ“.

„თქვენი ჭირიმეთ ეხლავე შეუდევით წერას თებერვლის ნომრისათვის, თორემ ვერ მოვასწრებთ სურათებს.“

დოდის ბოდიშით გიგზავნით აქამდის დარჩენილი საყმაწვილო უურნალს. თქვენი უკანასკნელი მოთხოვის დიდათ მოწონათ თავისი ზღაპრით.“

„თქვენი რაც გვმართებს სულ ერთად გაგისწოდებით, თქვენი ჭირიმეთ სააღდგომო რამ მოვგისწარის სიუჟეტი ეხლავ გამოვიგზავნეთ რომ შმერლინგს მიცეთ. თქვენ თანდათან უფრო საინტერესო კითხვებით — უვარების შეოლის სისტემას. სიუჟეტს ეხლას ცეკვეთ თქვენი ჭირიმეთ“.

14 მარტი 1905 წ.“

რასაგვირეულია, როგორც მე მეხევეწერდა და მაწერინებდა, ისე კადევე სხვებს თავზე კალას ამტკიცებდა, რომ უკანასკნელი მიერთოდა და მომცემლის მიერთოდა.

შასაჭა უკრნალისათვის. წერილს რომ გამოგზა-  
ნდა, მერე თვით მოჟუვებოდა თან, ჩაგიჯდებო-  
და და მინამ არ დაგაწერინებდა, არ მოგეშვე-  
ბოდა. უნდა მოგახენოთ, რომ ასეთი საქმის მუ-  
კათი, მისდამი სიუგარულით აღიფრთვისანებული,  
ასეთი ენერგიისა და სულის ძალით დაჯილდო-  
ებული აღმიანი იშვიათად შემსევედრია. ჯაფაშ  
და მუდმივმა, განუწევეტელმა მუშაობაშ მარიამს  
ბული დაუსწეულა და უდროვოდ გამოჰგლიჭა  
ქართველთას სელიდან ხვირთვასი ადამიანი, ძვირ-  
ფასი ქალი—ქართველი. აწ მისი სული დამ-  
შვიდებული განისვენებს. მან ღიასეული მემ-  
გიაღრე იშვა—ნინთ ნაკაშიძე, რთმელიც  
დარსეულად, დიდის ნიჭით და ცოდნით გან-  
დებს მარიამ დემურას დატოვებულს პირმშო  
შეიძლეს „ნაკადულსა“.

ს. მგალობლიშვილი

## ტომაზო სალვინი\*

გარდაიცვალა იტალიელთა დიდებული  
ტრაგიკოსი ტომაზო სალვინი. სალვინი დაი-  
ბადა 1829 წ. არტისტიულ ოჯახში. მამა მი-  
სი ცნობილი დრამატიული მსახიობი იყო,  
დედა კი ოპერის მომღერალი. პირველ დაწ-  
ყებითი სწავლა ფლორენციაში მიიღო, 13 წ.  
იქნებოდა, რომ სრულიად მოულოდნელად  
გამოვიდა სცენაზე და ამის შემდეგ თავი არ  
გაუნებებია და ხარბათ დაეწაფა სასცენო ხე-  
ლოვნებას. 19 წ. ჟაბუკმა უკვე ტრაგიკოსის  
სახელი დაიმსახურა. მხოლოდ როდესაც შექ-  
სპირის ნაწარმოები გაიცნო და ოტელოს,  
ჰამლეტის, მეფე ლირის და მაკბეტის როლე-  
ბი შეისრულა, მისი სახელი მთელ დედამიწას  
ელვასავით მოედო. მთელი ევროპა შეირყა  
და ყველას ესისმრებოდა სალვინის ნახვა. არც  
ერთი გამოჩენილი ქალაქი არ გამოუშვია ევრო-  
პაში და ყველა გააოცა თავისი დიადი, მძღვ-  
რი ნიჭით, ყველანი აღტაცებით და დიდი  
ზემით შეხვდნენ იტალიელთა სიამაყეს, რო-  
გორც ერთ-ერთ უდიდებულეს მსოფლიო ტრა-  
გიკოსს. ხუთჯერ ამერიკაში იყო მიწვეუ-  
ლი. მოიარა ეგვიპტე, ავს ტრალია და სხვა  
ქვეყნები. აგრეთვე ორჯელ რუსეთშიაც  
იყო: მოსკოვში, პეტროგრადში, ოდესაში



ქართველი ქალის თმა

და ხარკოვში სალვინი დაულალავი მშრო-  
მელი მსახიობი იყო. გასაკვირველი ვულ-  
კანისებური ტემპერამენტი, დიდი ენერგია  
და ცოდნა ყოველ როლის ათასჯერ აწონ-  
დაწონას შეალია. თუ გინდ სამასჯერაც ეთა-  
მაშნა ერთი და იგივე როლი, მანც დიდის  
სიყვარულით და დაკირვებით ხელმეორედ  
ამზადებდა და თავისი შემოქმედება დაუშე-  
ტელ წყაროდ იქცია. მისი სფერო—შექსპი-  
რის სფერო იყო. სალვინი—შექსპირის სუ-  
ლიერი შეილია. მას ბადალი არა ჰყავდა დი-  
დებულ დრამატურგის გმირების დახასიათება-  
ში. განსაკუთრებით საგანგებოდ ასრულებდა  
ოტელოს როლს, რომელშიაც ისევე დიდე-  
ბული იყო, როგორც თვითონ შექსპირი. სალვინი კოკლენის\* თეატრის მოწინააღმდე-  
გია, იგი უარპეროფს მისს მეთოდს. როგორც ვი-  
ციო, კოკლენს არა სწამს გულწრფელი, ნამ-  
დვილი მსახიობის განცდა გმირისაღმი. კოკ-  
ლენი ამბობს: „მსახიობი უფეხლ როლს სელოგ-  
ნურად უნდა თამაშობდესთ. გმირის ტანკე-გა-  
ბასთან—იგი ციგია. მსახიობმა იმ გვარ სელოგ-  
ნებით უნდა შეასრულოს როლი, რომ მისი სე-  
ლოგნება სინამდებილეს წაგავდესთ“. სალვინი  
კი ამ აზრისაა: „თუ მსახიობი გულწრფელდ არ  
განიცდის თავის გმირის განცდას, მაშინ ტიპი  
უდიდები იქნება, მსატრენულ შემოქმედებას შოკე-

\* ) ეს წერილი პირველ ნომერში ვერ მოთავსდა.  
სურათი. იბ. 1-ს ში.

\* ) საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობია.

ბუღი და ამასთან სინამდვილეს დაშორებულით".  
სასკრინო ხელოვნების გარდა სალვინმა  
სამხედრო ასპარეზზედაც დაიმსახურა სახელი:  
1848 წ. რევოლუციაში მიიღო მონაწილეობა  
და გარიბალდის მიერ დაჯილდობულიც  
იქმნა. მაგრამ იგი უფრო დიადათ მისმა საყვა-  
რელმა სკრინო დაჯილდოვა: სკრინო უკვდავ-  
ჰყო მისი ჰენია და ლაბდა ბრწყინვალე გვირ-  
გვინი, მხოლოდ მან უკმია სალვინს ლიდების  
გუნდორუკი. მისი სახელი განსაკუთრებით წი-  
თელი ასოებით აღიბეჭდება სასკრინო ხელოვ-  
ნების ფურცლებზე.

8. გარჩივი.

## ხელოვნების მოკლე ისტორია

(გაგრძელება. წ. 1. და ც. № 1)

ხელოვნების ისტორიის ეპოქანი.

ხელოვნების ისტორია საზოგადოთ ცალ-  
ტარება არ არ ეგებს ხელოვნებათა შირობებს და  
წესს. ის ერთად და ხელ-მოძებით არჩევს უგე-  
ლა ხელოვნებათა განვითარებას და მათ მიერ  
განცდილს ეფლიუციას. ხელოვნურ ნაწარმოებ-  
თა შესაგნებლად ისტორია ხელოვნებისა თვით  
იმ დროსა და სანას უკვირდება, რომელ მიაც შე-  
ქმნილა ნაწარმოები. თუ ჩვენ შევისწავლით რო-  
მელი იმ ისტორიულ ეპოქას თუ რა მდგრადი-  
ები იყო მაშინდელი ცივილიზაცია, ეს გაგვია-  
ზებებს იმ დროის ხელოვნურ ნაწარმოების  
შესწავლას, რადგან უფერ სურათს, უფერს ქან-  
დაგების ამნენებია კედლი თავისი დროის იდეისა,  
რწმენისა და ზექ-ზეულებისა. ესიმებ რომ მო-  
ინდოეთს ათონის ისტორიის დაწერა, ამ ისტო-  
რიაში უთუთდ აკრთხლების ტაძრებიც უნდა მოი-  
სეს სესის თუ უნდა, რომ მისი საშრომი უფლად  
სრული და უნაჯული იყოს, ხოლო ესიც ფი-  
ლიურს მოისესიებს, მან მაშინდელი, ანტიური  
ცივილიზაციაც უნდა გათვალისწინოს საზო-  
გადობას მაშინდელი, მაგრამ ხელოვნურ ნაწარ-  
მოებში ჩაქალი უკვე აზრებისა და სურათების  
სრულს ასესის და გამორჩევას მისგან ნე-  
ბაშორებლით.

შეიძლება უფერებელი აისნაც ცალ-  
მხრივი გამოვა და უფლებელებეს რომელიმე ეპოქის  
მთავარ სასიათის გამორჩევების გერ დამოვკი-  
დებთ. ამითი შეიძლება თვით ისტორიაც დაგა-  
მახინვთ. როგორც უფერა სხვა მსარე კაცობ-  
რითის ცხოვრებისა, ისე სელოზენური ნაწარმოე-  
ბის მთვლიანებაც შეტან როველია და მის გამო-  
საკვლევად მარტო შეცნიერებული წესი ემიური  
ანალიზისა არა კმარა: ადამიანის შინაგად ცხოვ-  
რება მუდამ ცვალებადია და დაუდგრძნელია და  
ეს მდგრადი მუდამ ანგარიშ გასაწევია. ცხოვრებაში არსებობს კადევ ისეთი განექნებული  
კანონები ესთეტიკისა, რომელიციც არავითარ ის-  
ტორიულ მდგრადი მებარებას არ ეთანხმება და ამი-  
ტომ მიუცილებელია თანაბარი ანგარიში გაუწი-  
ოთ, როგორც ამ კანონებს, აცრებებ იმ თეორი-  
ებს, რომელთაც უფერებელი უნდათ „უფლა-ცხოვ-  
რების“ მიზეზით ასესის და გაარკვიონ. მართ-  
ლია, უფერი ხელოვანი შეიძლი და ნაერთი  
თავისი ქვეენისა და თავის ეპოქის, ის ამ დრო-  
ში ცხოვრების და ამ დროს თეატრსაზრისით  
თხზავს თავის ნაწარმოებთ, მაგრამ ამავე დროს  
თანამედროვე ცხოვრებისაგან ანარებული მსალას  
თავის თავში აწრთობს, გადაადგებებს და უკ-  
თებს მისი დანების ნაუთის. ხელოვანი შეიმს,  
ჭაბადებს, თხზავს, ან შირდაბირ გადმოაქვს ცხო-  
ვრების სურათები და ეს სხვა და სხვათის მისი  
შემოქმედებისა იმერობს ჩვენს გულისუნის. ი-  
ტორია ჩვენ გვეხმარება, რომ უფრო კარგად შე-  
გვიგნთ ნაწარმოები, მაგრამ ხელოვნურ ნაწარ-  
მოებში ჩაქალი უკვე აზრებისა და სურათე-  
ბის სრულს ასესის და გამორჩევას მისგან ნე-  
ბაშორებლით.

როგორც უფერა სხვა ნაერთი ადამიანის შე-  
მოქმედებისა, ისე ხელოვნებაც იძალება, იზრდე-  
ბა, უფავს და შემდეგ ბერდება ან სუსტება.  
ერთის სიტევით ხელოვნებაც ჩვეულებრივ საზო-  
გადობა კანონებს ემორჩილება წარმოშობისა და  
გარდაცვლისას. უფერა მაღალ კულტურისას ხალ-  
ხის ცხოვრებაში ხელოვნება განცდის შემდეგ  
შერიცდებს: სიყრმისას, სიყმაწვილისას, დაგა-  
ვაცებისას და დაცემისას; ზოგჯერ უცემურის  
გამოფენის შემდეგ ხალხის ცხოვრება ში ხე-  
ლოვნება ისევ ცოცხლდება ახალის გამოსაუღ-  
ბით და ხანგძლივად ბრწყინვების, გადამ

ამათი მარტო ადნიშვნა არა კმარა, საჭიროა მა-  
თი არსებითი ხასიათის ასწენა და მიზეზების გა-  
შოძებისა. ამ სწორედ მაშინ აღმოჩნდება, რომ  
რომ რომ რომ რომ რომ რომ რომ რომ რომ რომ  
საუკუნოებით დაშორებული მიუხედავად ბევრ  
გვარის განსხვავებისა, ბევრში მაინც ერთი მეო-  
რესა ჭერას და ასალოგიური მფლევნანიც შექ-  
თხევებით არ არის. ეს კი ამტკიცებს ადამიანის  
სულის სიმძლავეებს და ერთიანობას, მიუხედა-  
ვათ იმისა, რომ მისი გამომთქმელთას მუდა  
სხვა და სხვა და მრავალფერო. წარმოშობის,  
უვაკების და დაცემის შერიცდა თითქმის უგელა  
ერთგნების სეჭაუნებაში ერთგვარი ხასიათისაა.  
სეჭაუნება სათავეში უგველთვის მარტივი და  
ტლანქია, მსოლელ შემდეგ საუკუნოთა განმავ-  
ლობაში გითარდება. მისი განვითარება კი დამთ-  
კიდებულია თუ რამდენათ მაღლდება ბუნების შე-  
სწავლა, სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი  
თვალთასება ერთგნებაში.

## შალვა დადიანი

(შემდეგი იქნება)

## ყვავილები

თუ მომილობავთ

თუ მომილოცავთ, სწორ-მეგობარნო,  
სისხლით გაეღენთილს ამ ახალ წელს;  
ურვა-გოდება ზედ დასწოლია  
გმირთ სანავარდო ბრძოლისა ველსა.  
თრთვილს დაუხუთავს სულის შერან,,  
ვეღარა ჰკვეთავს ნაბუქარებსა უ  
შემოგვლრიალებს ბოროტი ქირი;  
შხამ-გესლით გვივსებს ქოხის კაჯებნა.  
ცრემლში იხრჩობა მთელი სამყარო,  
გარს შემოგვრტყმია ასპიტი-გველი,  
უანგარობას სიცოცხლეს ართმევს,  
დაუნდობელი ბოროტი ხელი.  
ძაძით მოსილა დღეს ჩვენი სატრფო,  
ზის და მდუმარებს კვალიად თვალ-სველი  
ხევ-ხუვში კვნესის, მტრისგან დაჭრილი,  
მისი მფარველი, მისი გულმრველი;  
გრძნ ეულ სურათზე ჩაფიქრებული  
ობლად შთენილი ტყე-მინდორ-ველი;  
მიტომაც არ მსურს, რომ მოვილოცოთ  
ამ უფამურ ღროს მე ახალ წელი.

როდესაც დადგეს ტურფა ზაფხული,  
მწვანით შეიმკოს საოცი ველი,  
მშრომელი ხალხი გავიდეს მინდვრად,  
ხანჯლისა ნაცვლად გალესოს ცელი,  
როს სატრფო ნახოთ პირ-მომლიმარი,  
ტურფად შემკული მის ბროლის ყელი,  
ხელში ექიროს გარდისა კონა  
თვალად სამო და საყნოსელი,—  
აი, მაშინა მომილოცვევით  
სიხარულითა მე ახალ წელი,  
ბრძოლა გამოვლილს, ტანჯვა გამოცლილს,  
თანაგრძნობითა მომეცით ხელი! \*)

## გ. შინაგებელი

## ბაზრატის ტაძრის ნანგრევები

ვნახე ტაძრი, ბაგრატის ქმნილი,  
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,  
ვნახე საფლავნი უღვითოდ დანთქმული,  
ვნახე კედლები ჩამონგრეული...

ვნახე ადგილი ტურფა, მუიბნი,  
ქვები დათლილი, ჩუქურთმიანი,  
და მით მდუღარე წყლულს გადამესხა,  
თავი დავლუნე, გავწითლდი, შემრცხე.  
შემრცხე ყველაფრის, შემრცხე იმისი,  
რომ მთლიად გაგმხდარვართ საჭენი სხვისი,  
რომ ცხოვრების გზა ცუდად გვივლია,  
რომ თავისთვისაც ვერ მოგვივლია!  
კაცო! თუ ახალ ნერგს ძლარ დარგევ,  
ძველს რაღად ახმბ, ძველს რაღად კარგი?..  
კაცო ჰკვიანი სახლს არ დაამხობს,  
ახალ ხეს დარგავს—ძველს არ გაახმობს,  
შენ კი, ქართველო, აბა რა ჰქენი?  
აბა რას ამბობს შენი საქმენი?  
რა გააკეთე, რა შეიძინე?  
ლვინო დალიე, გაილილინე..,  
ადგილ-მამული ნაანდერძევი  
ვერ შეიძინე, ვერ დაიცვი,  
თითო-ოროლა გროშიად დაჰყილე,  
ხმალი კუთხეში უქმად დაჰყილე...  
გაიძახოდი „მაცა“ და „მიმცა“  
და ამ ძაბილში სხვამ დაიტაცა:  
შენი ქონება, შენი სახლ-კარი...

\*) ეს ლექსი სახალწლო ნომრისთვის იყო გამ-  
ზადებული.

აჲა, რღვეული დიდი ტაძარი  
და ქართველთა ძე ნეტავ სად არი?!

რად არ ამოვა ამ მთის მწვერვალზე,  
რა აფარია ნეტავი თვალზე?

რად არასა გრძნობს, რად არას ხედავს,  
ბედი დაჩაგვრას როგორ უბედავს??!

ვნახე ტაძარი, ბაგრატის ქნილი,  
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,  
ვნახე საფლავნი უღვთოდ დანთქმული,  
ვნახე კედლები ჩამონგრეული...

(\*) საფო მგელაძე.



### პ ა ს უ ხ ი

შენ გსურს იცოდე ჩემი წარსული?  
მაშ ყური მიგდე, ძმავ-მეგობარო,—  
გმიტევი, რათა ვარ სევდით მოცული,  
რათ დაშრა ჩემში სიცოცხლის წყარო:

მე მონა ვიყავ უგულო კერპის,  
მონა ტკბილ-მწარე სიყვარულისა,  
და ვით შემეძლო შეწირვა მსხვერპლის,  
მუხანათს ჩემივ გრძნობა-გულისა.

მარად მასმევდენ ნალველს და უხამსა;  
კაცი სიავითა ვერ ვისვენებდი;  
შური სწამლავდა სიამის წამსა  
და სასოებას ცრემლში ვეძებდი.

ჩემში კეთილსა—იცნობდენ ავად,  
ჩემი ოცნება—გესლმა წაწყმიდა,  
უამს სიყმაწვილის გამხადეს ავად,—  
წაშალეს ჩემში წმიდათა-წმიდა!

დღე დღეს მისდევდა და ღამეს—ღამე,  
მე კი ვერ მივწვდი ტაჯვის დასასრულს;  
არ ვიცი რაა სულის სიამე  
და მხოლოდ ველტვი ყოფნის აღსასრულს...

და თუ ათასში ერთხელ ვიგონებ  
ჩემ სიყმაწვილის პირველ გაზაფხულს,  
მაშინაც გრძნობებს ძალად ვიმონებ,  
ძალად ვეძლევი მწარე სიხარულს!..

დარია ახვლედიანი

### თ-დი დავ. ოტ. ნიუარაძე

დასავლეთ საქართველოს (ქუთვისის გუბ.) თავად-აზ  
ურთა წინამძღვრლი, დაინიშნა მეფის ნაცვლის საგა  
გებო მინდობილებათა გენერლად.

### აგადებული გზოსევბს \*)

ამ უამად მწოლიარე ვარ,  
ველარა ვემარობ კალამსა,—  
სხვას უკარნახებ, ამითი  
ჩემს გრძნობას ვატან ძალასა.  
რუხაძეს, გელას, ევდოშვილს  
მიუძღვნი გულწრფელ სალამსა:  
იცოცხლეთ, ჩენო კარგებო,  
თქვენი სიცოცხლე გვჭირია,  
ამას გისურვებთ საწყალი  
რაცველი გლეხის შვილია.  
კიდევ გვასმინეთ მრავალჯერ  
თქვენი ლექსები ტკბილია,  
ეყოფა საქართველოსა  
ჩაუ დგას გასაჭირია;  
დიდი მგოსნები დაკარგე,  
მრავალი გმირი შვილია;  
ესეც გვეყოფა სამგლოვრად,  
მე მუდამ ამას ვსტირია!..

გასილ კირვალიძე

30 X/II 15 წ.

\*) ეს ლექსი ეკუთვნის სახალხო მოლექსე-მოლ-ვაწეს, გას. კირვალიძეს, რომელიც ამ უამად ბალა-ბანის საავადმყოფოშია წევს. აი რას გვწერს ერთი მისი მეგობარი: „თქვენი უკარნალი მივუტანეთ და რაგაც დახედა რუხაძის სურათს, ტირილი მოერია, ხელათ სოქვა ლექსი სამს მგოსანზე, რომელიც დაგწერე და გიგზავნით“. — გმეტდავთ უცვლელად.

# გერი ქართლის

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 1)

V

მარიამ, ოთარ, ბაგრატ, თამარ, ჯიბრიშვილ  
და მზებათუნ.

**ბაგრატ.** შენი ბძანებით წამომიყვანეს ამ  
ბავშვებმა! მიბრძანე, დელოფალო, გულსმოდ-  
გინედ უურს გიგდებ!

**ოთარ.** ჩემს საძებნელად მსახური გავი-  
გზავნია... აგერ გახლავარ, რას მიბრძანებ?  
ლაზარევთან გახლდი და იქიდან საჩქაროდ  
გამომიძახეს. ხომ არა მოხდა რა?.. ლენგ-  
რალმა დამაბარა, ჩერია შემატყობინეთ რა  
ამბავია, რომ მთელი ქალაქი შემოიჩინა მსა-  
ხურმა და ძლიერ-ძლივობით იქ მომავნო. ხომ  
კარგადა ბძანდები, დელოფალო?

**მარიამ.** ლაზარევმა დაგაბარა!.. რა უნ-  
და ჩემგან?.. კარგადა ვარ თუ არა? თუ საღს  
ტანში იქნება ნატკენი გული და შეწუხებუ-  
ლი სული, როგორა გვინია, ამილახორო,  
სხეული საღი იქნება?

**ოთარ.** თუ გული სწუხს რასმე და სუ-



მსახიობი ვ. ს. ალ.-მესხი შვილი

ხეზე ამომწვარ-ამოჭრილი და შემდეგ სხვა ფიცარში ჩას-  
მული. თავ. ღუშიკ ფალავან-დიშვილის ნახელოვნები.

ლი შფოთავს რითიმე, ხშირად მოხდება, რომ  
სხეული ავად ხდება!

**მარიამ.** აი, სწორედ აგრევარ მე ავად!  
წალი და აგრე მოახსენე იმ შენს ღენერალსა!

**ბაგრატ.** მანამდის იმას შევატყობინებ-  
